

საქართველოს
უმადლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო

სამუშაო ვერსია - 2008

სარჩევი

შესავალი

1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნები
2. უმაღლესი განათლების საფეხურები, კვალიფიკაციები და სასწავლო დატვირთვა (ECTS)
3. კვალიფიკაციის დესკრიპტორები
4. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების შესაბამისობა კვალიფიკაციების ჩარჩოსთან
5. აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი და პირობები

დანართი #1: კვალიფიკაციების დესკრიპტორები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებას საფუძვლად დაედო ევროპულ და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმები, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და შესაბამის შინაარსობრივ ცვლილებებს ითხოვს. ასეთ სისტემაში სწავლის შედეგები წარმოადგენს კვალიფიკაციის განმსაზღვრელ, მაიდენტიფიცირებელ ბირთვს. სტუდენტსა და მის სწავლის შედეგზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ისეთი ფუნდამენტის შემუშავებასა და დანერგვას მოითხოვს, როგორცაა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო.

წინამდებარე კვალიფიკაციების ჩარჩო ადგენს საფეხურების/დონეების საერთო ათვლის წერტილებს; აღწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ლოგიკურ ურთიერთკავშირს; ხელს უწყობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და კვალიფიკაციების აღიარებას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით; უზრუნველყოფს კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და გაგებას.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004), რომლის თანახმადაც, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო წარმოადგენს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელ დოკუმენტს, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია. უმაღლესი განათლება თავის თავში მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე არსებულ ნებისმიერი პროფილის, როგორც კვლევაზე- ასევე პრაქტიკაზე ორიენტირებულ, საგანმანათლებლო პროგრამებს.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები შედგება უმაღლესი განათლების სამი საფეხურის კვალიფიკაციებისაგან. ამავდროულად, პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს ქვესაფეხური, ე. წ. დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია. შესაბამისად, საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები სამ საფეხურსა და ოთხ დონეს შორისაა გადანაწილებული და სტრუქტურულად უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაშია და იოლად გასაგებია საერთაშორისო დონეზე. რაც შეეხება კვალიფიკაციების აღწერას, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ბოლონის პროცესის „დუბლინის დესკრიპტორად“ ცნობილი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტის დანიშნულებიდან გამომდინარე მისი შემუშავების პროცესის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა და დოკუმენტის შესახებ კონსენსუსის მიღწევა.

1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნები

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებისა და მათი შესაბამისი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირების აღწერას, რომელიც გასაგებია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

შესაბამისად მისი მიზანია:

- ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა;
- სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის არსებული კვალიფიკაციების პროფილების გაგების გაადვილება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;
- საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარბის უზრუნველყოფა და აკადემიური ხარისხების ცნობის პროცესების გაადვილება;
- განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვა და მისი შესაბამისი, მუდმივად განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება;
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების ხელშეწყობა.

2. უმაღლესი განათლების საფეხურები / დონეები, კვალიფიკაციები და კრედიტებში ასახული სასწავლო დატვირთვა

უმაღლესი განათლება შედგება სამი საფეხურისა და ოთხი დონისაგან. პირველი საფეხური მოიცავს ასევე შუალედურ დონეს, რომელიც დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციით სრულდება.

საფეხური	დონე	კვალიფიკაციის სახელწოდება	სასწავლო დატვირთვა კრედიტებში	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ტიპი
III საფეხური დოქტორანტურა	- IV	დოქტორი	180	დოქტორის დიპლომი
II საფეხური მაგისტრატურა /რეზიდენტურა	- III	მაგისტრი	120	მაგისტრის დიპლომი
I საფეხური ბაკალავრიატი	- II	ბაკალავრი /დიპლომირებული მედიკოსი	240 / 300-360	ბაკალავრის დიპლომი / მედიკოსის დიპლომი
შუალედური საფეხური პირველი საფეხურის ფარგლებში - პროფესიული უმაღლესი განათლება	I	დიპლომირებული სპეციალისტი	120 – 180	სპეციალისტის დიპლომი

3. კვალიფიკაციის დესკრიპტორი

კვალიფიკაციის დესკრიპტორი განსაზღვრავს შესაბამის დონეზე მისაღწევ სწავლის შედეგებს, მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა დონის კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს დონეებს შორის ლოგიკურ კავშირს. სწავლის შედეგი წარმოადგენს განაცხადს, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

დესკრიპტორი წარმოადგენს ზოგად, ამოსავალ წერტილს თითოეული დონისათვის. საფეხურის/დონის შესაბამისი სწავლის შედეგების დესკრიპტორი შედგება 2 ძირითადი კომპონენტისაგან:

- 1. დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციები:**
 - 1.1. დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება
 - 1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები/ პრაქტიკული უნარები
- 2. ზოგადი კომპეტენციები:**
 - 2.1. ანალიზისა და სინთეზის უნარი
 - 2.2. პრობლემის გადაჭრა
 - 2.3. დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი
 - 2.4. საკომუნიკაციო უნარები
 - 2.5. საინფორმაციო კომუნიკაციების გამოყენების უნარი
 - 2.6. ჯგუფში მუშაობის უნარი
 - 2.7. სწავლის უნარი
 - 2.8. კვლევის უნარი
 - 2.9. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი
 - 2.10. პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარი

კვალიფიკაციების დესკრიპტორები იხ. დანართი #1.

4. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების შესაბამისობა კვალიფიკაციების ჩარჩოსთან

4.1. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის/დონის კვალიფიკაციების გაცემა ხორციელდება, მხოლოდ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიერ პროგრამული აკრედიტაციის მიღების შემდეგ და აუცილებლად მიეთითება დიპლომის დანართში.

5. აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი და პირობები

5.1. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში მოცემულ საკითხს, იწვევს შესაბამის ცვლილებას წინამდებარე დოკუმენტში;

5.2. კვალიფიკაციის დესკრიპტორების და ასევე წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი საკითხის განახლებისა და საზოგადოების სწრაფცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით (4-5 წელი), ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, ექსპერტები) და

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კოორდინირებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც საჯარო განხილვისათვის წარმოადგენს წინადადებებს კვალიფიკაციების ჩარჩოში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

- განხილვის მიზნით, წინადადებები ცვლილებების შესახებ ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე და ეგზავნება ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს.
- 3 თვიანი საჯარო განხილვის შედეგებს (რეკომენდაციებს, შენიშვნებსა და დასკვნებს) აჯამებს სამუშაო ჯგუფი და ღებულობს გადაწყვეტილებას შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

დანართი #1

დანართში ცხრილის სახით მოცემულია სწავლის შედეგების თითოეული კომპონენტის აღწერა სწავლის საფეხურების მიხედვით. სწავლის შედეგები/კომპეტენციები იერარქიულად არის წარმოდგენილი: უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური/დონე გულისხმობს წინა საფეხურზე/დონეზე მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციის საფუძველზე დამატებითი კომპეტენციის განვითარებას.

უმაღლესი განათლების დისკრიპტორები				
სწავლის შედეგი/კომპეტენცია	დიპლომირებული სპეციალისტი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
1. დარგობრივი კომპეტენციები				
1.1. ცოდნა და გაცნობიერება: შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა	გააჩნია დარგის ღრმა ცოდნა, მეტი კომპეტენციით გამოყენებით სფეროში; ფლობს პროფესიულ სფეროში მუშაობის მეთოდებს; კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.	გააჩნია დარგობრივი სფეროს ფართო და გაღრმავებული ცოდნა. ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს და ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკურ ნორმები.	გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში. აცნობიერებს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემების გადაჭრა. სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს.	გააჩნია ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.
1.2. დარგობრივი ცოდნის	შეუძლია პროფესიულ სფეროში პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა სტანდარტული, წინასწარ	შეუძლია დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი	შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და	პროფესიულ დონეზე ფლობს კვლევის ყველა ძირითად

<p>პრაქტიკაში გამოყენება/ პრაქტიკული უნარები: დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი,</p>	<p>აპრობირებული მეთოდების გამოყენებით. მუშაობის დროს იცავს სათანადო ეთიკურ ნორმებს.</p>	<p>გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და დამოუკიდებლად/ მინიმალური ზედამხედველობის/ ხელმძღვანელობის პირობებში განხორციელება; შეუძლია შესაბამისი დარგობრივი მეთოდების გამოყენება როგორც სტანდარტულ, ასევე რთულ სიტუაციებში.</p>	<p>ორიგინალური გზით; შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე; შეუძლია რთულ და მოულოდნელ, სპეციალიზებულ კონტექსტში მოქმედება; იცნობს საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების წესებს. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობს ზუსტად და ეფექტურად; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარებისა და /ან პროცედურების განვითარება ახალი სიტუაციებისათვის. ეძებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ /ორიგინალურ გზებს.</p>	<p>მეთოდს, ასევე შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული.</p>
2. ზოგადი კომპეტენციები				
<p>2.1 ანალიზისა და სინთეზის უნარი</p>	<p>დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.</p>	<p>დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მინიმალური ზედამხედველობის/ხელმძღვანე-</p>	<p>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების/სფეროების</p>	<p>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი</p>

		ლობის პირობებში შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავება.	ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება. შეუძლია კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით.	მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს.
2.2 პრობლემების გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება	შეუძლია პროფესიულ სფეროში, თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, პრობლემების ძირითადი ელემენტების განსაზღვრა და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება	შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია; თავის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება	შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსის გამოყენება	დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა. აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები
2.3.დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი	თავისი პასუხისმგებლობის სფეროში გეგმავს საკუთარ სამუშაოს, მუშაობის პროცესში შეუძლია საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და	თავისი პასუხისმგებლობის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა,	დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობს)	დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას

	გამოყენება	მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება	სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით	
	-	-	-	-
<p>2.4. კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე და უცხო ენის ცოდნა¹</p>	<p>- შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა.</p> <p>- B1 დონე – დამოუკიდებელი მოსაუბრე (დარგობრივ სფეროში)</p> <p>კომუნიკაცია – ენის შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემებზე (პროფესია, სწავლა, თავისუფალი დრო) მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგება; შეუძლია გამოცდილების, მოვლენების აღწერა და თავისი აზრების დასაბუთება.</p> <p>კითხვა – შეუძლია მარტივი ენით დაწერილი ტექსტების გაგება, რომლებიც მის პროფესიულ სფეროს ეხება.</p> <p>წერა – შეუძლია ნაცნობ თემებზე წერა, საკუთარი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების აღწერა.</p>	<p>- შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და პროექტის დეტალური და მომცველი წერილობითი ანგარიში მომზადება.</p> <p>- B2 დონე – დამოუკიდებელი მოსაუბრე (დარგობრივ სფეროში)</p> <p>კომუნიკაცია – ენის შემსწავლელს შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური</p>	<p>- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია.</p> <p>- C1 დონე – პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში)</p> <p>კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ</p>	<p>- შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეცილისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების /მოუმზადებლობის გათვალისწინებით</p> <p>- C 1 დონე – პროფესიო-ნალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში)</p> <p>კომუნიკაცია –</p>

¹ ენის ცოდნის დონეები განისაზღვრება ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით.

		<p>საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.</p> <p>კითხვა – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება.</p> <p>წერა – შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</p>	<p>დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.</p> <p>კითხვა – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.</p> <p>წერა – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.</p>	<p>შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს.</p> <p>თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.</p> <p>კითხვა – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.</p>
--	--	---	---	--

				წერა – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.
2.5 საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები	იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.	იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.	იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში	იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში
2.6. ჯგუფში	ეფექტურად ურთიერთობს	ეფექტურად ურთიერთობს	შეუძლია ჯგუფში	შეუძლია ჯგუფის

მუშაობის უნარი	სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში.	სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.	ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება. აქვს კონსტრუქციული კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი	ეფექტური ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.
2.7 სწავლის უნარი	მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა.	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.</p> <p>შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.</p>	აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი	ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლის პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.
2.8 კვლევის უნარი	-	კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.	დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.	დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს

				კვლევის უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს.
2.9 პროექტის შემუშავების ა და მართვის უნარი	შეუძლია მცირე, თავისი საქმიანობის შესაბამისი დონის პროექტის შემუშავება და განხორციელება.	შეუძლია აკადემიური პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება.	შეუძლია სრულფასოვანი აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა.	დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პროექტებს და მართავს განხორციელების პროცესს.
2.10 დამოუკიდებლად მუშაობის უნარი	პაუხსს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა. შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. გარკვეულ პროფესიულ კონტექსტში პასუხისმგებელია სხვების საქმიანობაზეც.	პაუხსს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება/კრიტიკა. შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. ხშირად ეკისრება მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა სხვების საქმიანობაზეც.	არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს; შეუძლია სხვების სწავლის გაძღოლა; იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.	დამოუკიდებელი და თვით-კრიტიკულია სწავლისა და მუშაობის დროს; ხელს უწყობს სხვების სწავლას; აქვს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და სრულიად ავტონომიური რთულ და მოულოდნელ სიტუაციებში ინიციატივის გამოჩენისას.